ოქმი:**ო37. 37242422**

თარიღი:**29/08/2024**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2024 წელი, 29 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

11.00 – 12. 00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არეშიძე, ნ. ჭანიშვილი;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი; ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, დ. მდინარაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტულუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29 -მ, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29 -ხმით.

დღის წესრიგი

46.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 -ხმით

47.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 -ხმით

48.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ურეკი 2-ის ტერიტორიაზე (ს. კ 26.35.02.088) ტურისტულ-დასასვენებელი სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 -ხმით

საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ გაეცნო პროექტს და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

4. ინფორმაცია 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების ანალიზის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

5. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა გ. ჩავლეშვილმა-აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო, გახშირდა ქვეყნის გარედან მოთხოვნები, არჩევნები უნდა ჩატარდეს

დემოკრატიულად, რადიკალური ოპოზიცია გარე ძალებთან ერთად ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ფსევდო დემოკრატიულ ფესტივალებს და სხვა. ამერიკის პრეზიდენტი მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს-შეშფოთებულია საქართველოს ხელმძღვანელი პირების განცხადებებით და გამჭვირვალობის შესახებ მიღებული კანონით, ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ ვერ მოახერხეს ქვეყნის ომში ჩაბმა. ოპოზიციას არაფერი რეალური არ ააქვს სათქმელი მოსახლეობასთან. განაცხადა, რომ ქართველი ხალხი 26 ოქტომბერს მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი